ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის
12 თებერვლის N07-01/12 გადაწყვეტილების

N1 დანართი

(კოდიფიცირებულია ცვლილებებით/დამატებებით:
*N07-01/01 , **19.02.2025;** N07-01/23, **21. 08.2025)***

ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში „ბსუ“ ან „უნივერსიტეტი“) აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესი (შემდეგში - „წესი“) შემუშავებულია „საქართველოს შრომის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებებით დამტკიცებული ავტორიზაციის და აკრედიტაციის დებულებების, სამედიცინო განათლების დარგობრივი მახასიათებლის, სტომატოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის, ბსუ-ს წესდების და ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკის“ და ,,ბსუ-ს პერსონალის აფილირების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის დატვირთვის განსაზღვრისა და ანაზღაურების გაცემის წესის“ (შემდეგში - **,,აფილირების წესი“)** საფუძველზე.
2. წინამდებარე წესის მიზანია უზრუნველყოს ბსუ-ს აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი) ღია კონკურსით შერჩევა (სამსახურში მიღება), საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გამჭვირვალობის, თანასწორობის, სამართლიანი კონკურენციის პრინციპების, აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველისა და უნივერსიტეტის ინტერესების გათვალისწინებით.
3. ბსუ-ს პროფესორები (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) მონაწილეობენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებში ან/და წარმართავენ მათ. ბსუ-ს ასისტენტი ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს ფაკულტეტის სასწავლო პროცესის ფარგლებში, პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით.
4. კონკურსის შედეგად არჩეული ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირის სამუშაო დატვირთვა და შრომის ანაზღაურების გაცემის პირობები განისაზღვრება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ განხილული და წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული ,,აფილირების წესით“, რომლის თანახმად:

4.1. ბსუ-სთან აფილირებულად მიიჩნევა პირი, რომელიც:

ა) დასაქმებულია აკადემიურ თანამდებობაზე მხოლოდ ბსუ-ში, არ უკავია სხვა დაწესებულების სამეცნიერო თანამდებობა, ბსუ-ში ახორციელებს საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და თავის სამეცნიერო კვლევის შედეგებს უკავშირებს (ეთვლება) მხოლოდ ბსუ-ს;

ბ) ბსუ-ს სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში;

გ) აქტიურად არის ჩართული ბსუ-ს საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;

დ) აქტიურად არის ჩართული სტუდენტების აკადემიური კონსულტირების და აკადემიური/სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესებში.

4.2. ბსუ-სთან აფილირებულად ვერ ჩაითვლება პირი, რომელსაც ბსუ-სთან არა აქვს გაფორმებული აფილირების ხელშეკრულება/შეთანხმება ან შეუწყდა, აფილირების წესის შესაბამისად.

5. ბსუ-ს აკადემიურ თანამდებობაზე არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება.

მუხლი 2. აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადება

1. ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსი ცხადდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

2. კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის ბრძანების გამოცემის საფუძველია შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის დასაბუთებული წარდგინება, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებულ ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესს“. დეკანის წარდგინებაში უნდა მიეთითოს ბსუ-ს საშტატო განრიგით გათვალისწინებული ვაკანტური საშტატო ერთეულის დასახელება, ამავე ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტი, მიმართულება/დარგი/კლინიკური დისციპლინები (მედიცინის/ ჯანდაცვის მიმართულებით პროგრამებისათვის), რომლის საჭიროების გათვალისწინებით ცხადდება კონკურსი და კონკურსში გამარჯვებულ კანდიდატთან შრომითი ურთიერთობის დაწყების თარიღი.

3. აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადება (რექტორის ბრძანებასთან ერთად) ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (კონკურსების ველში), საკონკურსო განცხადებების მიღების დაწყებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე. განცხადებაში აღინიშნება: საკონკურსო განცხადებების მიღების ვადა, კონკურსის პირობები, წარმოსადგენი დოკუმენტაცია, კონკურსის ჩატარების თარიღი, გასაჩივრების ვადა, კონკურსის შედეგების დამტკიცების და შრომითი ხელშეკრულების ვადა.

4. იმ შემთხვევაში, თუ კონკურსთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტებით ან/და ამ წესით განსაზღვრული ვადა იწურება უნივერსიტეტისათვის არასამუშაო ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უქმე დღეს, მოქმედება შეიძლება შესრულდეს მომდევნო სამუშაო დღეს.

5. ამ წესით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების ადმინისტრაციული/ ტექნიკური მხარდაჭერის მიზნით, რექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი და განესაზღვრება შესაბამისი უფლება-მოვალეობები.

მუხლი 3. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის ვადა და პირობები

1. უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე პირი აირჩევა:

ა) პროფესორის თანამდებობაზე - 6 წლის ვადით ან უვადოდ. უვადოდ არჩეული პროფესორი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება ატესტაციის გავლას, ბსუ-ს წესდებითა და წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული ატესტაციის წესის შესაბამისად;

ბ) ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე - 5 წლის ვადით;

გ) ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე - 4 წლის ვადით;

დ) ასისტენტის თანამდებობაზე - 3 წლის ვადით.

2. უნივერსიტეტის **პროფესორის** აკადემიურ თანამდებობაზე **უვადოდ შეიძლება** აირჩეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი იმპაქტ-ფაქტორის (The Clarivate Analytics Impact Factor) ან Q1-ს მქონე Web of Science ან Scopus საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში ან სამეცნიერო ნაშრომი Web of Science ან Scopus საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ ჰუმანიტარული დარგის სამეცნიერო ჟურნალში ან Web of Science ან Scopus საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებული მონოგრაფია ან აქვს საერთაშორისო საპატენტო ორგანიზაციებში რეგისტრირებული გამოგონება/პატენტი;

ბ) ბოლო 5 წლის განმავლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო ღონისძიებაში, რომლის აბსტრაქტები/გამოცემები ინდექსირებულია Web of Science ან Scopus;

გ) ბოლო 5 წლის განმავლობაში იყო/არის დაფინანსებული სამეცნიერო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი/ძირითადი შემსრულებელი **ან** მედიცინის მიმართულებით იყო/არის კლინიკური კვლევის ხელმძღვანელი/მთავარი მკვლევარი/მკვლევარი; *(ცვლილება - N07-01/23, **21. 08.2025**)*

დ) ბოლო 10 წლის განმავლობაში შესაბამისი მიმართულებით ხელმძღვანელობდა დოქტორანტს/დოქტორანტებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ დოქტორის აკადემიური ხარისხი;

ე) აქვს სამაგისტრო ან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობის გამოცდილება;

ვ) მომზადებული აქვს შესაბამისი მიმართულებით სახელმძღვანელო;

ზ) თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან (უცხოეთის უნივერსიტეტებთან/სამეცნიერო ცენტრებთან ერთობლივი სასწავლო ან სამეცნიერო პროგრამებში/პროექტებში მონაწილეობა, სტიპენდია/სტაჟირება და სხვ.);

თ) აქვს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება.

3. უნივერსიტეტის **პროფესორის** აკადემიურ თანამდებობაზე **6 წლის ვადით** შეიძლება აირჩეს: *(ცვლილება - N07-01/01, 19.02.2025)*

3.1. 2026-2027 სასწავლო წლიდან - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი იმპაქტ-ფაქტორის (The Clarivate Analytics Impact Factor) ან Q1/Q2-ს მქონე Web of Science ან Scopus საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში ან სამეცნიერო ნაშრომი Web of Science ან Scopus საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ ჰუმანიტარული დარგის სამეცნიერო ჟურნალში ან Web of Science ან Scopus საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებული მონოგრაფია ან ჰუმანიტარულ დარგში ქართველოლოგიის

მიმართულებით მონოგრაფია (რომელშიც ციტირებულია Web of Science ან Scopus საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული ავტორის/ავტორთა სტატია/სტატიები) ან აქვს საერთაშორისო საპატენტო ორგანიზაციებში რეგისტრირებული გამოგონება/პატენტი;

ბ) ბოლო 5 წლის განმავლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო ღონისძიებაში, რომლის აბსტრაქტები/გამოცემები ინდექსირებულია Web of Science ან Scopus ან ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) საერთაშორისო ბაზებში;

გ) ბოლო 5 წლის განმავლობაში იყო/არის დაფინანსებული სამეცნიერო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი/ძირითადი შემსრულებელი **ან** არის დაფინანსებული სამაგისტრო/ სადოქტორო სამეცნიერო საგრანტო პროექტის <u>კონსულტანტი</u> **ან** მედიცინის მიმართულებით იყო/არის კლინიკური კვლევის ხელმძღვანელი/მთავარი მკვლევარი/მკვლევარი; ***(ცვლილება - N07-01/23, 21. 08.2025)***

დ) ბოლო 10 წლის განმავლობაში შესაბამისი მიმართულებით მისი ხელმძღვანელობით სტუდენტს (ბაკალავრს, მაგისტრანტს, დოქტორანტს) გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი;

ე) აქვს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობის გამოცდილება;

ვ) შესაბამისი მიმართულებით მომზადებული აქვს სახელმძღვანელო ან სალექციო კურსი/კურსები;

ზ) აქვს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესორის/ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება.

3.2. 2025-2026 სასწავლო წლის ჩათვლით - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის <u>არანაკლებ 6 წლის გამოცდილება</u> და აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი Web of Science ან Scopus ან ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში ან Web of Science ან Scopus საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებული მონოგრაფია ან ჰუმანიტარულ დარგში ქართველოლოგიის მიმართულებით მონოგრაფია (რომელშიც ციტირებულია Google Scholar ან ERIH PLUS საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული ავტორის/ავტორთა სტატია/სტატიები) ან აქვს ეროვნულ საპატენტო ორგანიზაციებში რეგისტრირებული გამოგონება/პატენტი;

ბ) ბოლო 5 წლის განმავლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო ღონისძიებაში, რომლის აბსტრაქტები/გამოცემები ინდექსირებულია Web of Science ან Scopus ან Google Scholar ან ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) საერთაშორისო ბაზებში;

გ) ბოლო 5 წლის განმავლობაში იყო/არის დაფინანსებული სამეცნიერო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი/ძირითადი შემსრულებელი **ან** ბოლო 5 წლის განმავლობაში არის დასაფინანსებლად წარდგენილი, მაღალი შეფასების მქონე (80% და მეტი) სამეცნიერო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი/შემსრულებელი ან მედიცინის მიმართულებით იყო/არის კლინიკური კვლევის ხელმძღვანელი/მთავარი მკვლევარი/მკვლევარი; ***(ცვლილება - N07-01/23, 21. 08.2025)***

დ) ბოლო 10 წლის განმავლობაში შესაბამისი მიმართულებით მისი ხელმძღვანელობით სტუდენტს (ბაკალავრს, მაგისტრანტს, დოქტორანტს) გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი;

ე) აქვს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობის გამოცდილება;

ვ) შესაბამისი მიმართულებით მომზადებული აქვს სახელმძღვანელო ან სალექციო კურსი/კურსები;

ზ) აქვს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესორის/ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება.

4. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე აირჩევა დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება და აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი Web of Science ან Scopus ან ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში ან Google Scholar საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებული მონოგრაფია ან ჰუმანიტარულ დარგში ქართველოლოგიის მიმართულებით მონოგრაფია (რომელშიც ციტირებულია Google Scholar ან ERIH PLUS საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული ავტორის/ავტორთა სტატია/სტატიები) ან აქვს ეროვნულ საპატენტო ორგანიზაციებში რეგისტრირებული გამოგონება/პატენტი;

ბ) მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო ღონისძიებაში, რომლის აბსტრაქტები/გამოცემები ინდექსირებულია Web of Science ან Scopus ან Google Scholar ან ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) საერთაშორისო ბაზებში;

გ) ბოლო 5 წლის განმავლობაში იყო/არის დაფინანსებული სამეცნიერო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი/ძირითადი შემსრულებელი ან ბოლო 5 წლის განმავლობაში არის დასაფინანსებლად წარდგენილი, მაღალი შეფასების მქონე (80% და მეტი) სამეცნიერო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი/შემსრულებელი ან მედიცინის მიმართულებით იყო/არის კლინიკური კვლევის ხელმძღვანელი/მთავარი მკვლევარი/მკვლევარი; *(ცვლილება - N07-01/23, **21. 08.2025)***

დ) შესაბამისი მიმართულებით მომზადებული აქვს სახელმძღვანელო ან სალექციო კურსი/კურსები;

ე) აქვს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ასისტენტ-პროფესორის/ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება.

5. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე აირჩევა დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი Google Scholar საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში;

ბ) მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო ან ეროვნულ სამეცნიერო ღონისძიებაში;

გ) შესაბამისი მიმართულებით მომზადებული აქვს ჯგუფში მუშაობის/ პრაქტიკულის/ლაბორატორიული სამუშაოს ან სხვა აქტივობის სასწავლო მასალა;

6. ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეული იქნეს დოქტორანტი.

7. მედიცინის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კლინიკური დისციპლინების განმახორციელებელი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **დამატებით** განისაზღვრება შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები (საკონკურსო პირობები):

7.1. **პროფესორის თანამდებობის** დასაკავებლად:

ა) კლინიკური დისციპლინების მიმართულებით საექიმო საქმიანობის უფლება, რაც დასტურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული სერტიფიკატით;

ბ) კლინიკური დისციპლინების მიმართულებით კლინიკაში მუშაობის გამოცდილება, არანაკლებ ბოლო 9 წლისა;

7.2. **ასოცირებული პროფესორის** თანამდებობის დასაკავებლად:

ა) კლინიკური დისციპლინების მიმართულებით საექიმო საქმიანობის უფლება, რაც დასტურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული სერტიფიკატით;

ბ) კლინიკური დისციპლინების მიმართულებით კლინიკაში მუშაობის გამოცდილება, არანაკლებ ბოლო 5 წლისა;

7.3. **ასისტენტ-პროფესორის** თანამდებობის დასაკავებლად:

ა) კლინიკური დისციპლინების მიმართულებით საექიმო საქმიანობის უფლება, რაც დასტურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული სერტიფიკატით;

ბ) კლინიკური დისციპლინების მიმართულებით კლინიკაში მუშაობის გამოცდილება, არანაკლებ ბოლო 3 წლისა;

7.4. **ასისტენტის** თანამდებობის დასაკავებლად - კლინიკური დისციპლინების მიმართულებით საექიმო საქმიანობის უფლება, რაც დასტურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული სერტიფიკატით.

8. სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფუნდამენტური/ბიოსამედიცინო, პრეკლინიკური და კლინიკური დისციპლინების განმახორციელებელი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად დამატებით განისაზღვრება შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები (საკონკურსო პირობები - ამოქმედდება <u>სტომატოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცებიდან</u> (16.11.2023წ) 2.5 წლის შემდეგ):

8.1. **პროფესორის თანამდებობის** დასაკავებლად:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული შესაბამისი სპეციალობის სერტიფიკატით;

ბ) კლინიკაში მუშაობის გამოცდილება, სულ მცირე ბოლო 9 წელი;

8.2. **ასოცირებული პროფესორის** თანამდებობის დასაკავებლად:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული შესაბამისი სპეციალობის სერტიფიკატით;

ბ) კლინიკაში მუშაობის გამოცდილება, სულ მცირე ბოლო 5 წელი;

8.3. **ასისტენტ-პროფესორის** თანამდებობის დასაკავებლად:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული შესაბამისი სპეციალობის სერტიფიკატით;

ბ) კლინიკაში მუშაობის გამოცდილება, სულ მცირე ბოლო 3 წელი;

8.4. **ასისტენტის** თანამდებობის დასაკავებლად:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული შესაბამისი სპეციალობის სერტიფიკატით;

ბ) კლინიკაში მუშაობის გამოცდილება, სულ მცირე ბოლო 3 წელი;

9. მედიცინის ერთსაფეხურიანი **ინგლისურენოვანი** უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნად განისაზღვრება ინგლისურ ენაზე სწავლების კომპეტენცია (არანაკლებ B2 დონე), რომელიც შესაძლებელია დადასტურდეს ერთ-ერთი შემდეგი კრიტერიუმით:

ა) ინგლისურენოვანი პროგრამით სწავლების, სულ მცირე, 3 წლის გამოცდილება;

ბ) საზღვარგარეთ მოქმედ კლინიკაში ინგლისურ ენაზე საექიმო საქმიანობის განხორციელება არანაკლებ 1 წლის განმავლობაში;

გ) საზღვარგარეთ მოქმედ კვლევით დაწესებულებაში ბიომედიცინის მიმართულებით სასწავლო/კვლევითი საქმიანობის ინგლისურ ენაზე განხორციელება არანაკლებ 1 წლის განმავლობაში;

დ) ინგლისურენოვანი დიპლომამდელი ან დიპლომისშემდგომი პროგრამის დასრულება, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით;

ე) ინგლისური ენის, სულ მცირე, B2 დონის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატით.

10. სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი **ინგლისურენოვანი** უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნად განისაზღვრება ინგლისურ ენაზე სწავლების კომპეტენცია (არანაკლებ B2 დონე), რომელიც შესაძლებელია დადასტურდეს ერთ-ერთი შემდეგი კრიტერიუმით/მტკიცებულებით: *(დამატება - N07-01/01, 19.02.2025)*

ა) ინგლისურენოვანი პროგრამით სწავლების, სულ მცირე, 3 წლის გამოცდილება;

ბ) საზღვარგარეთ მოქმედ კლინიკაში ინგლისურ ენაზე საექიმო საქმიანობის განხორციელება არანაკლებ 1 წლის განმავლობაში;

გ) საზღვარგარეთ მოქმედ კვლევით დაწესებულებაში ბიომედიცინის მიმართულებით სასწავლო/კვლევითი საქმიანობის ინგლისურ ენაზე განხორციელება არანაკლებ 1 წლის განმავლობაში;

დ) ინგლისურენოვანი დიპლომამდელი ან დიპლომისშემდგომი პროგრამის დასრულება, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით;

ე) ინგლისური ენის სულ მცირე B2 დონის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატით (IELTS, TOEFL, CAMBRIDGE ENGLISH, UNIcert, EnglishSCore და სხვ.);

ვ) ბსუ-ს მიერ, შესაბამისი სპეციალისტების ჩართულობით, ინგლისური ენის B2 დონის შესაბამისი შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის შედეგით (აღნიშნული კრიტერიუმი/მტკიცებულება ინგლისური ენის ცოდნის დონის შემოწმებისათვის შესაძლებელია მოთხოვნილი/გათვალისწინებული იქნეს აკადემიური პერსონალის <u>შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ</u> ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, ასევე დასაშვებია ახალი პროგრამის განხორციელების დაწყებამდე ენის კომპეტენციის დადასტურების მიზნით ჩაუტარდეს გამოცდა მოქმედ აკადემიურ პერსონალს).

11. ბსუ-ს **სხვა ინგლისურენოვანი** უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნად განისაზღვრება** ინგლისურ ენაზე სწავლების კომპეტენცია - არანაკლებ B2 დონე, რომელიც შესაძლებელია დადასტურდეს ერთ-ერთი შემდეგი კრიტერიუმით/მტკიცებულებით: *(დამატება - N07-01/01, 19.02.2025)*

ა) ინგლისურენოვანი პროგრამით სწავლების, სულ მცირე, 3 წლის გამოცდილება;

ბ) საზღვარგარეთ მოქმედ დაწესებულებაში სასწავლო/კვლევითი საქმიანობის ინგლისურ ენაზე განხორციელება არანაკლებ 1 წლის განმავლობაში;

გ) ინგლისურენოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება/პროგრამაზე სწავლა არანაკლებ 1 წლის განმავლობაში), რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით;

დ) ინგლისური ენის, სულ მცირე, B2 დონის ცოდნის დამადასტურებელი

სერტიფიკატით;

ე) ბსუ-ს მიერ, შესაბამისი სპეციალისტების ჩართულობით, ინგლისური ენის B2 დონის შესაბამისი შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის შედეგით (აღნიშნული კრიტერიუმი/მტკიცებულება ინგლისური ენის ცოდნის დონის შემოწმებისათვის შესაძლებელია მოთხოვნილი/გათვალისწინებული იქნეს აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, ასევე დასაშვებია ახალი პროგრამის განხორციელების დაწყებამდე ენის კომპეტენციის დადასტურების მიზნით ჩაუტარდეს გამოცდა მოქმედ აკადემიურ პერსონალს).

მუხლი 4. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენა

1. ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევ ღია კონკურსში მონაწილეობის მსურველი (შემდეგში - კონკურსანტი) ვალდებულია საკონკურსო დოკუმენტაცია **(საკონკურსო** განაცხადი (ანკეტა) და ამ წესით განსაზღვრული სხვა დოკუმენტები) წარმოადგინოს კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის ბრძანებაში აღნიშნული საკონკურსო პირობების, ფორმატისა და ვადების დაცვით.

2. კონკურსში მონაწილეობის მსურველის მხრიდან დაუშვებელია წარმოდგენილი იქნეს ერთზე მეტი განცხადება ერთზე მეტ საკონკურსო აკადემიურ თანამდებობაზე.

3. **პროფესორის, ასოცირებული პროფესორის და ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:**

ა) საკონკურსო განაცხადი (ანკეტა) - შევსებული რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო–პედაგოგიური მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ცნობა ან შრომის წიგნაკის ასლი და სხვა, დამოწმებული/გაცემული შესაბამისი დაწესებულების მიერ);

დ) საკონკურსო თანამდებობის შესაბამისი მიმართულების **სილაბუსი** (სილაბუსები);

ე) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსის (სილაბუსების) შესაბამისი მინიმუმ ერთი სახელმძვანელო/სალექციო კურსის/რიდერის ელექტრონული ვერსია იმ ენაზე, რომელ ენაზეც ტარდება ლექცია (მხოლოდ პროფესორის და ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევმა კონკურსანტმა); ჯგუფში მუშაობის/ პრაქტიკულის/ლაბორატორიული სამუშაოს ან სხვა აქტივობის სასწავლო მასალა (მხოლოდ ასისტენ-პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევმა კონკურსანტმა);

ვ) ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული საკონკურსო თანამდებობის შესაბამისი ერთი სამეცნიერო ნაშრომი (სტატია), რომელიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს კონკურსანტის სამეცნიერო საქმიანობას - საკონკურსო კომისიის მიერ შეფასებისათვის;

ვ[1]) ბოლო 5 წლის განმავლობაში მედიცინის მიმართულებით განხორციელებული (ჩასატარებელი) კლინიკური კვლევების დამადასტურებელი ცნობა (მედიცინის მიმართულებით პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევმა კონკურსატმა); *(დამატება - N07-01/23, 21. 08.2025)*

ზ) დარგის სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის კონცეფცია აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე/ერთსაფეხურიანზე/ზოგადი განათლების მომზადების საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაზე. ასისტენტ-პროფესორმა უნდა წარმოადგინოს მხოლოდ სწავლების კონცეფცია, გარდა უმაღლესი აკადემიური განათლების მესამე საფეხურისა;

თ) შესაბამისი აკადემიური (სამეცნიერო) ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის

კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლი (უცხო ქვეყნაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ი) 2 ფერადი ფოტოსურათი (ზომა 3x4);

კ) ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (წინამდებარე წესის მე-3 მუხლის მე-9 პუნქტში აღნიშნული რომელიმე ან რამდენიმე კრიტერიუმების შესაბამისად) - სავალდებულოა წარმოსადგენად ინგლისურენოვანი პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში მონაწილე კონკურსანტისათვის, ხოლო სხვა ვაკანტური თანამდებობის შემთხვევაში - სასურველია წარმოდგენილი იქნეს, თუკი კონკურსანტი უთითებს ინგლისური ენის ფლობის შესახებ ინფორმაციას საკონკურსო განაცხადში/ანკეტაში.

ლ) ბოლო 5 (ხუთი) წლის განმავლობაში სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობის შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტი/დოკუმენტები;

მ) კლინიკური დისციპლინების მიმართულებით კლინიკაში მუშაობის დამადასტურებელი ცნობა (სავალდებულოა მედიცინის/სტომატოლოგიის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კლინიკური კომპონენტის განმახორციელებელი პროფესორის/ასოცირებული პროფესორის/ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის კონკურსის შემთხვევაში);

ნ) კლინიკური დისციპლინების მიმართულებით საექიმო საქმიანობის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული სერტიფიკატი (სავალდებულოა მედიცინის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კლინიკური კომპონენტის განმახორციელებელი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად);

ო) ნასამართლობის შესახებ ცნობა (შენიშვნა: ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება). საკონკურსო დოკუმენტაციის ელექტრონულად წარდგენის დღისათვის ნასამართლობის შესახებ ცნობა უნდა იყოს მოქმედი (კანონმდებლობის თანახმად ცნობის მოქმედების ვადა 15 დღეა).

4. **ასისტენტის აკადემიურ** თანამდებობაზე ასარჩევმა კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს:

ა) საკონკურსო განაცხადი (ანკეტა) - შევსებული რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად);

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) სამოტივაციო წერილი;

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომის) კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლი (უცხო ქვეყნაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში) და დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი ცნობა____(გაცემული საკონკურსო განცხადების წარმოდგენამდე 10 დღის ვადაში);

დ) 2 ფერადი ფოტოსურათი (ზომა 3x4);

ე) ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (წინამდებარე წესის მე-3 მუხლის მე-9 პუნქტში აღნიშნული რომელიმე ან რამდენიმე

კრიტერიუმების შესაბამისად) - სავალდებულოა მედიცინის ინგლისურენოვანი პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში მონაწილე კონკურსანტისათვის, ხოლო სხვა ვაკანტური თანამდებობის შემთხვევაში - სასურველია წარმოდგენილი იქნეს, თუკი კონკურსანტი უთითებს ინგლისური ენის ფლობის შესახებ ინფორმაციას საკონკურსო განაცხადში/ანკეტაში.

ვ) კლინიკური დისციპლინების მიმართულებით საექიმო საქმიანობის დამადასტუ-რებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული სერტიფიკატი (სავალდებულოა მედიცინის/სტომატოლოგიის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კლინიკური კომპონენტის განმახორციელებელი აკადემიური თანამდებობების კონკურსის შემთხვევაში);

ზ) ნასამართლობის შესახებ ცნობა (შენიშვნა: ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება). საკონკურსო დოკუმენტაციის ელექტრონულად წარდგენის დღისათვის ნასამართლობის შესახებ ცნობა უნდა იყოს მოქმედი (კანონმდებლობის თანახმად ცნობის მოქმედების ვადა 15 დღეა).

5. კონკურსში მონაწილეობის მსურველის მიერ საკონკურსო განაცხადი (ანკეტა) სრულად უნდა შეივსოს ელექტრონულად, პორტალზე - www.portal.bsu.edu.ge/jobs და თან უნდა დაერთოს (აიტვირთოს) წინამდებარე მუხლში შესაბამისი პოზიციისათვის განსაზღვრული და საკონკურსო განაცხადში__(ანკეტაში) ასახული ინფორმაციის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შედგენილი, უფლებამოსილი ორგანოს ან პირის მიერ გაცემული დოკუმენტაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ელექტრონული ვერსია.

6. საკონკურსო განაცხადის (ანკეტა) და საკონკურსო დოკუმენტაციის ასლების ელექტრონულად წარმოდგენის შემდეგ, კონკურსანტმა საპროცედურო კომისიაში უნდა წარმოადგინოს **მატერიალური სახით შემდეგი საკონკურსო დოკუმენტაცია:**

ა) ელექტრონულად წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადის (ანკეტა) ამობეჭდილი ვერსია;

ბ) 2 ფერადი ფოტოსურათი (ზომა 3x4);

გ) ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო–პედაგოგიური მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ცნობა ან შრომის წიგნაკის ასლი და სხვა, დამოწმებული/გაცემული შესაბამისი დაწესებულების მიერ) - სავალდებულოა პროფესორისა და ასოცირებული პროფესორის საკონკურსო პოზიციისათვის (შენიშვნა: ბსუ-ში დასაქმებული/შრომითი გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალის შემთხვევაში საკმარისია ელექტრონულ სააპლიკაციო განაცხადის შესაბამის ველში ატვირთვა);

დ) შესაბამისი აკადემიური (სამეცნიერო) ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლი (უცხო ქვეყნაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი ცნობა (გაცემული საკონკურსო განცხადების წარმოდგენამდე 10 დღის ვადაში) - ასისტენტის პოზიციის საკონკურსო

პოზიციისათვის (შენიშვნა: ბსუ-ში დოქტორანტისათვის საკმარისია ცნობის ელექტრონულ სააპლიკაციო განაცხადის შესაბამის ველში ატვირთვა);

ვ) კლინიკური დისციპლინების მიმართულებით კლინიკაში მუშაობის დამადასტურებელი ცნობა (სავალდებულოა მედიცინის/ სტომატოლოგიის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კლინიკური კომპონენტის განმახორციელებელი პროფესორის/ასოცირებული პროფესორის/ ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის კონკურსის შემთხვევაში);

ზ) კლინიკური დისციპლინების მიმართულებით საექიმო საქმიანობის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული სერტიფიკატი (სავალდებულოა მედიცინის/სტომატოლოგიის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კლინიკური კომპონენტის განმახორციელებელი აკადემიური თანამდებობის კონკურსის შემთხვევაში);

თ) მედიცინის მიმართულებით განსახორციელებელ (ან ჩატარებულ) კლინიკურ კვლევაში მონაწილეობის (ხელმძღვანელის/მთავარი მკვლევარის/მკვლევარის პოზიციაზე) დამადასტურებელი ცნობა (გაცემული კლინიკური კვლევის განმახორციელებელი დაწესებულების (კლინიკის) ხელმძღვანელის (უფლებამოსილი პირის) მიერ).*(დამატება - N07-01/23, 21. 08.2025)*

7. მატერიალური სახით წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიღება ფიქსირდება სპეციალურ ზონარგაყრილ სარეგისტრაციო ჟურნალში (ფორმა მტკიცდება რექტორის ბრძანებით), რომლის ყოველი გვერდი წინასწარ დანომრილი და დამოწმებულია რექტორის ხელმოწერითა და უნივერსიტეტის ბეჭდით.

8. მატერიალური სახით საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე საპროცედურო კომისიის მიერ კონკურსანტზე გაიცემა ცნობა, რომელშიც ღნიშნული იქნება კონკურსანტის სახელი, გვარი, ფაკულტეტისა და კონკურსანტის მიერ საკონკურსო განაცხადში მითითებული ვაკანტური თანამდებობა, რომლის დაკავება სურს განმცხადებელს, ასევე საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების თარიღი და რიგითი ნომერი (ცნობის ფორმა მტკიცდება რექტორის ბრძანებით). საპროცედურო კომისიისაგან ცნობის მიღებას კონკურსანტი სარეგისტრაციო ჟურნალში ადასტურებს ხელმოწერით.

9. საკონკურსო ვადის დარღვევით (განცხადებების მიღების ვადის გასვლის შემდგომ) წარდგენილი საკონკურსო საკონკურსო დოკუმენტაცია მიღებასა და რეგისტრაციას არ ექვემდებარება (აღნიშნულის შესახებ შესაბამისი ჩანაწერი კეთდება სარეგისტრაციო ჟურნალში და საპროცედურო კომისია წარუდგენს სამსახურებრივ ბარათს უნივერსიტეტის რექტორს.

10. **ელექტრონულ საკონკურსო განაცხადში (ანკეტა) მიეთითება** კონკურსანტის შესახებ როგორც ზოგადი, ასევე დაჯგუფებული ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტის შეფასებისათვის:

10.1. კონკურსანტის პირადი ინფორმაცია - სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, მოქალაქეობა, მისამართი, ტელეფონი, ელ.ფოსტა, ბოლო სამსახურებრივი პოზიცია.

10.2. საკონკურსო პოზიცია (ბსუ-ს ფაკულტეტის და საკონკურსო თანამდებობის სრული დასახელების მითითებით - პროფესორი (უვადო)/პროფესორი (6 წლის ვადით)/ასოცირებული პროფესორი/ასისტენტ-პროფესორი/ასისტენტი); ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის, პერსონალის მართვის პოლიტიკის, ეთიკის კოდექსის და შინაგანაწესის გაცნობისა და თანხმობის, პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ განაცხადი;

10.3. განათლება, აკადემიური ხარისხი და სამსახურებრივი გამოცდილება - I ჯგუფი:

ა) განათლება - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, საგანმანათლებლო

პროგრამა; დასრულების წელი; მიღებული კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი;

ბ) დოქტორის აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი - დისერტაციის თემა; მინიჭებული კვალიფიკაცია; დისერტაციის დაცვის თარიღი;

გ) ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური (სწავლების) გამოცდილება, სწავლების საფეხურისა და სასწავლო კურსების მითითებით;

დ) სხვა სამსახურებრივი გამოცდილება - დაწესებულების დასახელება და დაკავებული თანამდებობა; მუშაობის დაწყებისა და დასრულების თარიღები;

ე) ბსუ-სთან აფილირების პირობების გათვალისწინებით, ინფორმაცია შეთავსებით მუშაობის შესახებ - დაწესებულების დასახელება, სადაც მუშაობს კონკურსანტი ან აპირებს რომ დასაქმდეს, ბსუ-ში დაკავებულ აკადემიურ თანამდებობასთან შეთავსებით (დაკავებული ან დასაკავებელი თანამდებობა/საშტატო ერთეული და შესასრულებელი სამუშაოს სახე (ფუნქცია); სამუშაო დღეები და სამუშაო საათები; საერთო კვირეული და წლიური არსებული/სავარაუდო აკადემიური/შრომითი დატვირთვა);

ვ) მედიცინის/სტომატოლოგიის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური თანამდებობის (კლინიკური კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის) შესარჩევი კონკურსის შემთხვევაში - ინფორმაცია კლინიკური ბაზის შესახებ, სადაც დასაქმებულია კონკურსანტი (ეწევა საექიმო საქმიანობას კლინიკაში) და სადაც უნდა განხორციელდეს მედიცინის/სტომატოლოგიის პროგრამის კომპონენტები/აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი პროცესი. აღნიშნული ინფორმაციის შევსების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნეს (აიტვირთოს ელექტრონულად) ცნობა ბსუ-სა და სამედიცინო კლინიკასთან/დაწესებულებას შორის გაფორმებული ხელშეკრულების/მემორანდუმის შესახებ (შეიძლება გაიცეს წერილობითი ინფორმაცია როგორც ბსუ-დან ან შესაბამისი კლინიკიდან/დაწესებულებიდან);

ზ) კლინიკური დისციპლინების მიმართულებით კონკურსანტის საექიმო საქმიანობის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული სერტიფიკატის შესახებ ინფორმაცია (სერტიფიკატში აღნიშნული საექიმო სპეციალობის; სერტიფიკატის გაცემის თარიღის და ვადის მითითებით). აღნიშნული ინფორმაციის მითითების შემთხვევაში უნდა აიტვირთოს ელექტრონულად სერტიფიკატის ასლი (სავალდებულოა წარმოსადგენად მედიცინის/სტომატოლოგიის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კლინიკური კომპონენტის განმახორციელებელი აკადემიური თანამდებობის კონკურსის შემთხვევაში);

თ) კლინიკური დისციპლინების მიმართულებით კლინიკაში მუშაობის შესახებ ინფორმაცია (კლინიკის/დაწესებულების, კლინიკური დისციპლინის/ სპეციალობის და შრომითი ურთიერთობის პერიოდის/წლების მითითებით). აღნიშნული ინფორმაციის მითითების შემთხვევაში უნდა აიტვირთოს ელექტრონულად ამ ინფორმაციის დამადასტურებელი ცნობა (სავალდებულოა წარმოსადგენად მედიცინის/სტომატოლოგიის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კლინიკური კომპონენტის განმახორციელებელი პროფესორის/ასოცირებული პროფესორის/ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის კონკურსის შემთხვევაში);

10.4. საკონკურსო თანამდებობის პროფილის შესაბამისი პედაგოგიური და სასწავლო–მეთოდური საქმიანობა - II ჯგუფი:

ა) პედაგოგიური გამოცდილება - საერთო პედაგოგიური სტაჟი; ბოლო 6 წლის განმავლობაში განხორციელებული სასწავლო კურსების შესახებ ინფორმაცია;

ბ) სასწავლო–მეთოდური საქმიანობა - სახელმძღვანელოს/სალექციო კურსი/რიდერი/ სასწავლო მასალები;

გ) უმაღლესი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა - საგანმანათლებლო პროგრამა; ხელმძღვანელობის პერიოდი; თანახელმძღვანელი

(არსებობის შემთხვევაში); ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება;

დ) საკონკურსო პოზიციის შესაბამისი სასწავლო კურსების დასახელება, რომელთა წარმართვა შეუძლია კონკურსანტს;

ე) საკონკურსო პოზიციის შესაბამისი სილაბუსები - სასწავლო კურსის დასახელება; საგანმანათლებლო პროგრამა;

ვ) კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, ტრენინგები - კურსების/ტრენინგების დასახელება; დიპლომის/სერტიფიკატის ნომერი; ჩატარების ადგილი და თარიღი.

10.5. სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობა - III ჯგუფი (შენიშვნა: თუკი კონკურსანტი ბსუ-ში დასაქმებულია/შრომითი გამოცდილების მქონე აკადემიური თანამდებობის პირია, ამ ქვეპუნქტის მონაცემები ავტომატურად შეივსება ბსუ-ს სამეცნიერო მუშაობის შეფასების ელექტრონული პორტალიდან - www.portal.bsu.edu.ge/sa):

ა) სამეცნიერო ნაშრომები (ბოლო ხუთი წლის მონაცემები, არაუმეტეს ხუთი) - სამეცნიერო ნაშრომის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება, ნომერი, გვერდები; სტატუსი (დაბეჭდილი/დასაბეჭდად მიღებული); ინდექსირება სამეცნიერო ბაზებში; გამოცემის თარიღი; თანაავტორ(ებ)ი.

ბ) სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაცია (არაუმეტეს ხუთი) - სამეცნიერო ნაშრომის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება, ნომერი, გვერდები; სტატუსი (დაბეჭდილი/დასაბეჭდად მიღებული); ინდექსირება სამეცნიერო ბაზებში; გამოცემის თარიღი; თანაავტორ(ებ)ი.

გ) მონოგრაფია (ბოლო ხუთი წლის მონაცემები, არაუმეტეს ხუთი) - მონოგრაფიის სათაური; გამომცემლობა, ISBN, გვერდების რაოდენობა; ინდექსირება სამეცნიერო ბაზებში; გამოყენებული სტატია; გამოცემის თარიღი; თანაავტორ(ებ)ი;

დ) გამოგონება/პატენტი (ბოლო ხუთი წლის მონაცემები, არაუმეტეს ხუთი) - რეგისტრაციის თარიღი; გამოგონება/პატენტის სათაური; საპატენტო ორგანიზაცია.

ე) სამეცნიერო ღონისძიება (ბოლო ხუთი წლის მონაცემები, არაუმეტეს ხუთი) - მოხსენების სათაური; ღონისძიების დასახელება; ღონისძიების ორგანიზატორი, ჩატარების ადგილი; აბსტრაქტების/გამოცემების ინდექსირება; ჩატარების თარიღი; თანაავტორ(ებ)ი;

ვ) მიმდინარე/დასრულებული **საგრანტო პროექტები** (ბოლო ხუთი წლის მონაცემები, არაუმეტეს ხუთი) - საგრანტო პროექტის სათაური; ჩართული ძირითადი პერსონალი; სტატუსი პროექტში; დამფინანსებელი ორგანიზაცია; დაწყება-დასრულების თარიღი; პროექტის ტიპი (საერთაშორისო/ეროვნული/ ბსუ-ს შიდა მიზნობრივი/); პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებული სტატია **ან/და მედიცინის მიმართულებით** <u>ბოლო **ხუთი** წლის</u> პერიოდში **განსახორციელებელი (ან ჩატარებული) კლინიკური კვლევები** კონკურსანტის მონაწილეობით (პოზიცია კვლევაში: ხელმძღვანელი/მთავარი მკვლევარი/მკვლევარი), **კვლევის მიმართულების/შედეგის მითითებით;** ***(ცვლილება - N07-01/23, 21. 08.2025)***

ზ) წარდგენილი საგრანტო პროექტები (ბოლო ხუთი წლის მონაცემები, არაუმეტეს ხუთი) - საგრანტო პროექტის სათაური; ჩართული ძირითადი პერსონალი; სტატუსი პროექტში; დამფინანსებელი ორგანიზაცია; თარიღი; პროექტის ტიპი (საერთაშორისო/ეროვნული/ბსუ-ს შიდა მიზნობრივი/); მიღებული მაქსიმალური შეფასება;

თ) თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან (უცხოეთის უნივერსიტეტებთან/სამეცნიერო ცენტრთან ერთობლივ სასწავლო ან სამეცნიერო პროგრამებში/პროექტებში მონაწილეობა, სტიპენდია/სტაჟირება და სხვ.) - თანამშრომლობის ფორმა; უნივერსიტეტის/სამეცნიერო ცენტრის დასახელება; დაწყებისა და დასრულების თარიღი;

ი) საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი (ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული) ნაშრომი - პუბლიკაციის სახეობა; პუბლიკაციის სათაური, ავტორები, ჟურნალის/გამომცემლობის დასახელება, ტიპი/ტომი, გვერდები, პუბლიკაციის ელექტრონული მისამართი; გამოქვეყნების წელი.

კ) სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების კონცეფცია/სწავლების კონცეფცია/სამოტივაციო წერილი;

10.6. სხვა სახის აქტივობა (ბოლო 5 წლის განმავლობაში) – IV ჯგუფი:

ა) სტუდენტთა ხელმძღვანელობა - მაგისტრანტებისა, დოქტორანტების ნაშრომები; საკონფერენციო სამეცნიერო ნაშრომები;

ბ) აქტივობის დასახელება - ჯილდო, სტიპენდია, უცხო ენების ცოდნა და სხვა პედაგოგიური და სამეცნიერო აქტივობა

მუხლი 5. საპროცედურო, საკონკურსო და სააპელაციო კომისიები

1. კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის ბრძანების გამოცემის შემდეგ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით განისაზღვრება **საპროცედურო კომისია,** რომლის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის, სამეცნიერო კვლევების სამსახურის და შესაბამისი ფაკულტეტის/უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

2. საპროცედურო კომისია:

ა) ადასტურებს ან ახარვეზებს კონკურსანტის მიერ პორტალზე - www.portal.bsu.edu.ge/jobs ატვირთულ ინფორმაციას (გარდა ამ წესის მე-4 მუხლის 10.5. პუნქტის შესაბამისად შევსებული მონაცემებისა, ბსუ-ში დასაქმებული აკადემიური პერსონალის შემთხვევაში);

ბ) მატერიალური სახით იღებს და არეგისტრირებს საკონკურსო დოკუმენტაციას, საჩივრებს (არსებობის შემთხვევაში) და გასცემს შესაბამის ცნობას;

გ) მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე საკონკურსო დოკუმენტაციას გადასცემს საკონკურსო კომისიას და აძლევს წვდომას კონკურსანტების ელექტრონულ საკონკურსო დოკუმენტაციაზე;

დ) დარეგისტრირებული საკონკურსო განცხადებების მიხედვით ამზადებს კონკურსანტთა სიას უნივერსიტეტის ვებგვერდზე შესაბამისი ინფორმაციის განთავსების მიზნით;

ე) გასაჩივრების ვადაში კონკურსანტის მიერ საჩივრის წარმოდგენის განხილვისათვის გადასცემს საკონკურსო/სააპელაციო კომისიას.

3. საკონკურსო კომისია და სააპელაციო კომისია, არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით (მათ შორის თავმჯდომარე და მდივანი), მტკიცდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, უნივერსიტეტის რექტორის წარდგინებით.

4. საკონკურსო და სააპელაციო კომისიების შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ საკონკურსო მიმართულების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური ან/და სამეცნიერო პირები. შესაძლებელია შეიქმნას ერთდროულად რამდენიმე საკონკურსო კომისია ფაკულტეტების ან მიმართულებების მიხედვით.

5. საკონკურსო/სააპელაციო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს:

ა) პირი, რომელიც ამავე კონკურსში მონაწილეობს კონკურსანტის სტატუსით;

ბ) პირი, რომელიც კონკურსანტის ახლო ნათესავია. ასეთ შემთხვევაში კონკურსანტი უფლებამოსილია განაცხადოს აცილება („ახლო ნათესავში“ იგულისხმება „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით

გათვალისწინებული პირები);

6. საპროცედურო/საკონკურსო/სააპელაციო კომისიის წევრები ვალდებულნი არიან მუშაობის პროცესში დაიცვან კონფიდენციალობის პრინციპი და არ გაამჟღავნონ ინფორმაცია კონკურსის შედეგების გამოქვეყნებამდე.

7. საპროცედურო/საკონკურსო/სააპელაციო კომისიის და ამ წესით გათვალისწინებული სამუშაო ჯგუფის წევრების შრომის ანაზღაურება შეიძლება განისაზღვროს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

მუხლი 6. საკონკურსო კომისიის მუშაობის წესი

1. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ 2/3.

2. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ფარული კენჭისყრით, დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის/სხდომის თავმჯდომარის ხმა.

3. კომისიის სხდომას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას - სხდომაზე არჩეული თავმჯდომარე, რომელიც ასეთ შემთხვევაში სარგებლობს თავმჯდომარის უფლებამოსილებებით.

4. საკონკურსო კომისიის მუშაობის ის პროცედურები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით, შესაძლებელია დადგინდეს უშუალოდ კომისიის საოქმო გადაწყვეტილებით.

5. საკონკურსო კომისიის საქმიანობა აისახება საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმებში. კონკურსანტის შეფასების კომპონენტი, ასევე, აისახება ელექტრონულ პორტალზე - www.portal.bsu.edu.ge/jobs.

6. საკონკურსო კომისიის სხდომა დახურულია.

7. საკონკურსო კომისია ახორციელებს შემდეგ უფლებამოსილებებს:

7.1. პირველ ეტაპზე:

ა) საპროცედურო კომისიისგან მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე იღებს მატერიალური სახით წარმოდგენილ საკონკურსო დოკუმენტაციას და წვდომას ელექტრონულ პორტალზე - www.portal.bsu.edu.ge/jobs;

ბ) ამოწმებს კონკურსანტის ელექტრონულ საკონკურსო განაცხადს (ანკეტას) და წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისრულეს. კონკურსანტის მხრიდან არასწორი (ყალბი) მონაცემების წარმოდგენის ან კონკურსანტის მონაცემების კონკურსის ძირითად პირობებთან არათავსებადობისა და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია მიიღოს საოქმო გადაწყვეტილება კონკურსანტის კონკურსიდან მოხსნის თაობაზე. კომისიის გადაწყვეტილება აისახება ელექტრონული პორტალის - www.portal.bsu.edu.ge/jobs შესაბამის ველში;

გ) საკონკურსო განაცხადის (ანკეტა) **I ჯგუფის ველებში** ასახული ინფორმაციის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში, კონკურსანტი იხსნება კონკურსიდან საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე. მომდევნო ჯგუფის ველებში არსებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია არ ფასდება. კომისიის გადაწყვეტილება აისახება ელექტრონული პორტალის - www.portal.bsu.edu.ge/jobs შესაბამის ველში;

დ) აფასებს კონკურსანტს ელექტრონულ ანკეტაში მოცემული ინფორმაციის, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სხვა სახის ინფორმაციის საფუძველზე, ავსებს ელექტრონულ პორტალის - www.portal.bsu.edu.ge/jobs შესაბამის ველებს და მხოლოდ იმ შემთხვევაში, **თუ II და III ჯგუფების შემაჯამებელი შეფასება** არის ,,მაღალი" ან ,,საშუალო", **ანიჭებს მას პრეტენდენტის სტატუსს და ადგენს მოკლე დასკვნას** შესაბამისი

აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად განსაზღვრულ მოთხოვნებთან კონკურსანტის მონაცემების შესაბამისობის შესახებ. საკონკურსო კომისიის დასკვნა აისახება ელექტრონული პორტალის - www.portal.bsu.edu.ge/jobs შესაბამის ველში და საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმებში;

ე) იმ შემთხვევაში, თუკი კონკურსანტის მონაცემები შეესაბამება პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე უვადოდ გამწესებისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებს, ელექტრონული პორტალის - www.portal.bsu.edu.ge/jobs შესაბამის ველში და სხდომის ოქმში უნდა მიეთითოს საკონკურსო კომისიის დეტალური დასაბუთება ამ კონკურსანტის განსაკუთრებული პროფესიული ან/და სამეცნიერო მიღწევების შესახებ;

ვ) პროფესორის ან/და ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის შემთხვევაში ელექტრონული პორტალის - www.portal.bsu.edu.ge/jobs შესაბამის ველის დასკვნით ნაწილში და სხდომის ოქმში უნდა მიეთითოს კომისიის დასაბუთება კონკურსანტის სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის პერიოდში მისი სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობის შეფასების შედეგების შესახებ, ამ კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ანალიზის საფუძველზე (კომისია უფლებამოსილია დაწესებულებისგან გამოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია ან უფლებამოსილი პირები მოიწვიოს სხდომაზე განმარტების მისაღებად);

ზ) ელექტრონულ პორტალზე კონკურსანტთა შეფასების შემდეგ კომისია ამტკიცებს კონკურსანტთა სიას, რომელთაც მიენიჭა პრეტენდენტის სტატუსი და იღებს საოქმო გადაწყვეტილებას გასაუბრებაზე მათი მოწვევის შესახებ (გასაუბრების თარიღის, დროის და ადგილის) მითითებით;

თ) კონკურსანტებთან გასაუბრების განრიგი და კონკურსიდან მოხსნილი კონკურსანტების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

ი) ყველა კონკურსანტთან მიმართებით ელექტრონულ პორტალზე კონკურსანტის საკონკურსო განაცხადის (ანკეტის) შეფასების ველების სრულად შევსების შემდეგ უნდა ამოიბეჭდოს და დაერთოს საკონკურსო კომისიის ოქმს;

7.2. მეორე ეტაპზე:

ა) კონკურსანტებთან გასაუბრება ტარდება საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, დადგენილ დროს და ადგილზე. გასაუბრების მიზანია დაზუსტდეს ან/და დაკონკრეტდეს კონკურსანტის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია, შეფასდეს მისი პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემის უნარი, ლოგიკური აზროვნების უნარი და სხვა ისეთი საკითხები, რომლებიც შესაძლებელია დაკავშირებული იყოს მისი შემდგომი საქმიანობის სფეროსთან;

ბ) გასაუბრება შესაძლებელია ჩატარდეს როგორც კითხვა-პასუხის, ასევე, კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში, კონკურსანტის მიერ გარკვეული საკითხების მოკლე მიმოხილვის სახით. გასაუბრების შეფასების მოკლე მიმოხილვა უნდა აისახოს ელექტრონული პორტალის - www.portal.bsu.edu.ge/jobs შესაბამის ველში და საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმებში;

გ) საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს გადაწყვეტილება პრეტენდენტის მიერ საცდელი ლექციის ჩატარების ან სხვა ისეთი აქტივობების განხორციელების შესახებ, რომელიც გამოდგება პრეტენდენტის სრულყოფილად შეფასების დამატებით საფუძვლად;

დ) იმ შემთხვევაში, თუკი კონკურსანტის ანკეტაში აღნიშნულია ინგლისურენოვანი პროგრამების სასწავლო კურსების წარმართვის შესაძლებლობის შესახებ, საკონკურსო კომისია უფლებამოსილია კონკურსანტს ჩაუტაროს გასაუბრება ინგლისურ ენაზე ან/და საჭიროების შემთხვევაში მოსთხოვოს საცდელი ლექციის ჩატარება;

ე) საკონკურსო კომისია უფლებამოსილია პრეტენდენტის თანხმობით მიიღოს

გადაწყვეტილება გასაუბრების მიმდინარეობის ვიდეო ან აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით. კონკურსანტის მიერ გასაუბრებაზე/საცდელი ლექციაზე გამოუცხადებლობა ან უარის თქმა წარმოადგენს კონკურსანტის კონკურსიდან მოხსნის საფუძველს;

ვ) საკონკურსო პროცედურების დასრულების შემდგომ საკონკურსო კომისია კონკურსის შედეგებს ურთიერთშეაჯერებს, აფასებს და იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებულ/ებ/ის გამოვლენის შესახებ. გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასებას, რაც აისახება ელექტრონული პორტალის - www.portal.bsu.edu.ge/jobs შესაბამის ველში და საკონკურსო კომისიის ოქმში (გასაუბრების/საცდელი ლექციის ჩატარების შემთხვევაში, შეფასება ასევე უნდა ემყარებოდეს გასაუბრების/საცდელი ლექციის შედეგებს);

ზ) კონკურსანტების შეფასებების განხორციელების შემდგომ ტარდება ფარული კენჭისყრა და კონკრეტულ საკონკურსო თანამდებობაზე არჩეულად ითვლება პირი, რომელიც მიიღებს სხვა კონკურსანტზე მეტ ხმას, მაგრამ არანაკლებ კომისიის სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობისა. ერთ თანამდებობაზე გამარჯვებულად ცხადდება ერთი კონკურსანტი. საკონკურსო თანამდებობაზე კონკურსში გამარჯვებულის/ გამარჯვებულების (ორი ან მეტი ერთნაირი საკონკურსო თანამდებობის არსებობის შემთხვევაში) გამოვლენის მიზნით საკონკურსო კომისიის თითოეულ წევრს აქვს იმდენი ხმის უფლება, რამდენი საკონკურსო პოზიციაც არის შესაბამის მიმდინარე კონკურსში. ელექტრონული პორტალის - www.portal.bsu.edu.ge/jobs შესაბამის ველში და კომისიის სხდომის ოქმში აისახება მიღებული გადაწყვეტილებების (მათ შორის, შეფასებების) საფუძვლიანობა, კონკურსანტთა გამარჯვებულად გამოცხადების ან გამოცხადებაზე უარის თქმის შინაარსობრივი საფუძვლები და დასაბუთება;

თ) საკონკურსო კომისიის ფარული კენჭისყრის საფუძველზე მიღებული შედეგები აისახება/აიტვირთება ელექტრონული პორტალის - www.portal.bsu.edu.ge/jobs შესაბამის ველში და კომისიის შემაჯამებელ ოქმში, რომელიც მისი შედგენის ან მომდევნო სამუშაო დღეს გადაიგზავნება უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსების მიზნით, ხოლო კანცელარიული წესით წარედგინება რექტორს, აკადემიური საბჭოს მიერ კონკურსის შედეგების დამტკიცების საკითხის განხილვის მიზნით.

მუხლი 7. კონკურსის შედეგების დამტკიცება და გასაჩივრება

1. საკონკურსო კომისიის მიერ ამ წესით დადგენილი მოთხოვნების დარღვევასთან დაკავშირებით კონკურსანტს უფლება აქვს დარღვევიდან (საიდანაც აითვლება ვადა) არაუგვიანეს მე-3 სამუშაო დღისა შეიტანოს განცხადება/საჩივარი საპროცედურო კომისიაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივარი არ მიიღება.

2. განცხადება/საჩივარი უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:

ა) შესაბამისი საკონკურსო კომისიის დასახელება;

ბ) განცხადების/საჩივრის შემომტანი პირის სახელი, გვარი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი;

გ) განცხადების/საჩივრის შემომტანი პირის სტატუსი;

დ) დარღვევის შინაარსი;

ე) განცხადების/საჩივრის შემომტანი პირის მოთხოვნა;

ვ) განცხადების/საჩივრის შემომტანი პირის ხელმოწერა, თარიღი და დრო.

3. განცხადებას/საჩივარს თან უნდა ერთვოდეს დარღვევის დამდასტურებელი მტკიცებულება (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. საპროცედურო კომისია უზრუნველყოფს განცხადების/საჩივრის რეგისტრაციას

(სარეგისტრაციო ჟურნალის ფორმა მტკიცდება რექტორის ბრძანებით) და სააპელაციო კომისიისათვის დროულად გადაცემას. განმცხადებელს საპროცედურო კომისია გადასცემს ცნობას (შედგენილი რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად), რომელშიც აღინიშნება განცხადების/საჩივრის კომისიაში მიღების თარიღი და დრო.

5. სააპელაციო კომისია ვალდებულია განცხადების/საჩივრის შეტანიდან 3 (სამი) კალენდარული დღის განმავლობაში განიხილოს განცხადება/საჩივარი. სხდომა დახურულია. კომისია უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, განმარტების მისაღებად სხდომაზე მოიწვიოს შესაბამისი კომისიების (საპროცედურო, საკონკურსო, სამუშაო ჯგუფი) წევრები ან უნივერსიტეტის ადმინისტრაციის პერსონალის წარმომადგენლები, რომლებიც შესაძლოა სამსახურებრივი საქმიანობით დაკავშირებული იყოს კონკურსანტის მიერ გასაჩივრებულ საკონკურსო პროცედურებთან.

6. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილებით შესაძლებელია:

ა) საჩივარი დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში და დაუბრუნოს ხელახლა განხილვისათვის;

ბ) საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

გ) საჩივარი დარჩეს განუხილველი, თუკი შემოტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ ან გასაჩივრების ვადის დარღვევით.

7. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება კანცელარიის მეშვეობით წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს, ამ წესით გათვალისწინებული პროცედურების წარმართვის მიზნით და გამოქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

8. საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმის წარდგენიდან 6 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო გასაჩივრების შემთხვევაში, სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილების წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო განიხილავს კონკურსის შედეგების დამტკიცების საკითხს.

9. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია:

ა) დაამტკიცოს ჩატარებული კონკურსის შედეგები (იმ შემთხვევაში, თუკი გამარჯვებული კანდიდატის მონაცემები შეესაბამება პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე უვადოდ გამწესებისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებს, ამ კონკურსანტის ანკეტის შეფასების დასკვნით ნაწილში არის საკონკურსო კომისიის დეტალური დასაბუთება ამ კონკურსანტის განსაკუთრებული პროფესიული ან/და სამეცნიერო მიღწევების შესახებ, აკადემიური საბჭოს დადგენილებაში მიეთითება პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მისი უვადოდ გამწესების თაობაზე);

ბ) არ დაამტკიცოს კონკურსის შედეგები და შესაბამისი დასაბუთებით, რაც უნდა გამომდინარეობდეს საქართველოს კანონმდებლობიდან და საუნივერსიტეტო აქტებიდან, საკითხის განხილვის მიზნით, დაუბრუნოს იმავე საკონკურსო კომისიას.

10. აკადემიური საბჭოს დადგენილება კონკურსის შედეგების დამტკიცების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

1. კონკურსის შედეგების ძალაში შესვლის შემდეგ (აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცების შემთხვევაში) საკონკურსო მასალები შესანახად გადაეცემა უნივერსიტეტის საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარიას).

2. გამარჯვებულ კონკურსანტებთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულებები, უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად, კონკურსის

გამოცხადების შესახებ რექტორის ბრძანებაში მითითებული ვადებისა და ,,ბსუ-ს აფილირების წესის“ მოთხოვნათა დაცვით.

3. გამარჯვებულ კონკურსანტთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში მატერიალური და ელექტრონული სახით წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის ნაწილი (უნივერსიტეტის საქმისწარმოების ინსტრუქციით გათვალისწინებული დოკუმენტები) ინახება დასაქმებულის პირად საქმეში.

4. კონკურსის შედეგად გამარჯვებულის ვერ გამოვლენის/ვერ არჩევის ან შრომითი ხელშეკრულების გასაფორმებლად კონკურსანტის გამოუცხადებლობის/ ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ხელახალი კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის რექტორი.

5. კონკურსის წესით აკადემიური პერსონალის მიღების შემდეგ, სხვადასხვა ფაკულტეტზე აკადემიური პერსონალის საშტატო განრიგის ცვლილებების შემთხვევაში (გაუქმების/შემცირების, დამატების, საგანმანათლებლო პროგრამის სხვა ფაკულტეტზე გადატანის/განხორციელების, სტრუქტურული რეორგანიზაციის და სხვა), შესაძლებელია შესაბამისი აკადემიური თანამდებობის პირის თანხმობით, მასთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, რექტორის ბრძანების საფუძველზე, მისი გადაყვანა სხვა ფაკულტეტის შესაბამის აკადემიურ თანამდებობაზე, სახელშეკრულებო ურთიერთობის ვადით, თუკი ამ პირის არჩევის დროისათვის ამ წესით დადგენილი მოთხოვნები და კვალიფიკაცია, შესაბამისობაშია რომელიმე სხვა ფაკულტეტის ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად განსაზღვრულ მოთხოვნებთან (ერთი და იმავე დარგის/მიმართულების/საშტატო ერთეულის შემთხვევაში).

6. ობიექტური გარემოების (ქვეყანაში/რეგიონში შექმნილი ეპიდვითარება ან/და სხვა) გათვალისწინებით ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით შესაძლებელია დასაშვები გახდეს:

ა) საკონკურსო განცხადებისა და დოკუმენტაციის <u>მხოლოდ ელექტრონულად</u> წარმოდგენა, იმ პირობით, რომ კონკურსში გამარჯვებულმა კონკურსანტმა მატერიალური სახით უნდა წარმოადგინოს ისინი არაუგვიანეს შრომითი ხელშეკრულების გაფორმებისთანავე (ასეთ შემთხვევაში საპროცედურო კომისიის მიერ განმცხადებელზე ამ <u>საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების შესახებ ცნობა</u> გაიცემა ელექტრონულად);

ბ) კონკურსანტის მიერ განცხადების/საჩივრის საპროცედურო კომისიაში ელექტრონულად წარდგენა (ასეთ შემთხვევაში საპროცედურო კომისიის მიერ განმცხადებელზე/მომჩივანზე საჩივრის მიღების შესახებ ცნობა გაიცემა ელექტრონულად);

გ) საკონკურსო კომისიამ კონკურსანტთა განცხადება და საკონკურსო დოკუმენტაცია საპროცედურო კომისიისგან მიიღოს მხოლოდ ელექტრონული სახით (შესაბამის ელექტრონულ ფოსტაზე წარმოდგენილი), ხოლო მატერიალური სახით წარმოდგენილი მასალა - მხოლოდ ამის საჭიროების შემთხვევაში;

დ) საკონკურსო კომისიამ დაადგინოს მუშაობის ან/და კონკურსანტებთან გასაუბრების დისტანციური ფორმატი (ZOOM პლატფორმის მეშვეობით);

ე) სააპელაციო კომისიამ დაადგინოს მუშაობის დისტანციური ფორმატი (ZOOM პლატფორმის მეშვეობით), მათ შორის განმარტების მისაღებად ონლაინ-სხდომაზე მოიწვიოს შესაბამისი კომისიების (საპროცედურო, საკონკურსო, სამუშაო ჯგუფი) წევრები ან უნივერსიტეტის ადმინისტრაციის პერსონალის წარმომადგენლები, რომლებიც შესაძლოა სამსახურებრივი საქმიანობით დაკავშირებული იყოს კონკურსანტის მიერ გასაჩივრებულ საკონკურსო პროცედურებთან.

7. აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის მოთხოვნათა აღსრულების მიზნით ბსუ-ს რექტორის მიერ გამოიცემა შესაბამისი სამართლებრივი აქტები (ამ წესში აღნიშნული საკონკურსო განაცხადის (ანკეტის), დოკუმენტაციის/საჩივრის მიღების

ცნობების, ჟურნალების ფორმების დამტკიცების, კონკურსის გამოცხადების, საორგანიზაციო ღონისძიებების შესახებ ან სხვა), საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს წესდებისა და პერსონალის მართვის პოლიტიკის შესაბამისად.